ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
ევროპის საბჭო

„სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის მხარდაჭერა - სასამართლო რეფორმის სისხლისსამართლებრივი ასპექტები“

სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებების მიმოხილვა გენდერული თანასწორობის ჭრილში

ლორი მენი
საერთაშორისო კონსულტანტი
2020 წლის სექტემბერი

აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს არცერთი მხარის ოფიციალურ პოზიციას.

სარჩევი

I. შესავალი 3
II. სისხლის სამართლის კოდექსი 4
ა. სექსუალური ძალადობა 4
ბ. ფემიციდი 6
გ. გამოწვევა/პროვოცირება 6
დ. ოჯახური დანაშაულები 7
ე. სექსუალური შევიწროება 9
ვ. საზიანო პრაქტიკა: ბავშვის და იძულებითი ქორწინება და ქალწულობის შემოწმება 9
ზ. კიბერდანაშაული და ჩაგვრა 10
თ. დაცვასთან დაკავშირებული საკითხები 10
ი. გენდერული მიკერძოების და სხვა დამამძიმებელი ფაქტორები 13
III. სისხლის სამართლის პროცედურა 14
ა. სასამართლოში და სასამართლოს გარეთ დაცვა 15
ბ. მტკიცებულებითი საკითხები 17
გ. საპროცესო შეთანხმება 18
დ. სასამართლო გადაწყვეტილებები და განაჩენები 18
ე. სასჯელის შეფარდება 20
ვ. კომპენსაცია 22
ზ. ნაფიცი მსაჯულები 22

I. შესავალი

გასული ხუთი წლის მანძილზე საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის განხორციელების მიმართულებით, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების თვალსაზრისით, ასევე კანონმდებლობის შესაბამისობის გაუმჯობესებით ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით და ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ კონვენციით (სტამბოლის კონვენცია) ნაკისრ ვალდებულებებთან. 2017 წელს საქართველომ მიიღო მთელი რიგი ცვლილებები, მათ შორის: შემოიღო ქალთა მიმართ ძალადობის და ადევნების განმარტებები, იძულებითი სტერილიზაციის და ქალების წინადაცვეთის დანაშაულები გახდა კანონით დასჯადი, უზრუნველყო დროებითი ბინადრობა ძალადობის მსხვერპლი უცხოელი ქალებისათვის, ძალადობის მსხვერპლისათვის დამნაშავის პატიმრობიდან გათავისუფლებამდე ინფორმაციის მიწოდება, და გაფართოვდა გენდერული ნიშნით ძალადობასთან დაკავშირებული დამამძიმებელი გარემოებების ნუსხა.

საკანონმდებლო რეფორმების პაკეტი, გენდერული თანასწორობის გაძლიერებული ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნასთან ერთად, მათ შორის, სათანადოდ მომზადებული პერსონალით დაკომპლექტებული სპეციალიზირებული სამსახურების/დანაყოფების შექმნა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში, ასახავს მოწინავე გამოცდილებას, რომლის საფუძველზეც კვლავ გაგრძელდება სამართლებრივი ბაზის დახვეწა ქალებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით ისეთ დანაშაულებთან კავშირში, რომლებიც ქალებზე დისპროპორციულ ზეგავლენას ახდენენ. იმავდროულად, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა და მოწინავე გამოცდილება, თავის მხრივ, ასევე ვითარდება, და შესაბამისად, საჭირო ხდება მიდგომებსა და პრაქტიკაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

ეს ანგარიში ეხება სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების იმ დებულებებს, რომლებიც შესაძლოა დისკრიმინაციულ ზეგავლენას ახდენდნენ ქალებზე. იგი ეფუძნება გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტებს, სტამბოლის კონვენციას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ახალ კონვენციას(C190) ძალადობისა და შევიწროების შესახებ, და სხვ. იგი ავსებს *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო დებულებების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვას* (სსსკ-ის მიმოხილვა).

საქართველოში საკანონმდებლო ბაზა გენდერულ თანასწორობასა და ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით საკმაოდ ძლიერია, და იგი უკვე იქცა საერთაშორისო მოწინავე გამოცდილების მოდელად. რჩება შეკითხვები პრაქტიკაში სხვადასხვა დებულებების გამოყენებასა და ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. მაგალითად, არსებობს მთელი რიგი დებულებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს ინტიმური და ოჯახის წევრი პარტნიორის მხრიდან

ძალადობის შემთხვევებზე, როგორიცაა დანაშაულები, რომლებიც დაკავშირებულია სხეულის დაზიანების სხვადასხვა ხარისხთან, და მუხლები 11[1], 53[1](2), 126[1] და მუხლი 144[3].

ზემოაღნიშნული პროგრესის მიუხედავად, უნდა გამოიყოს სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში არსებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი.

II. სისხლის სამართლის კოდექსი

ა. სექსუალური ძალადობა

სექსუალურ თვითდამკვიდრებასთან დაკავშირებული დანაშაულები ამ ეტაპზე არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ეს მოიცავს გაუპატიურებას (მუხლი 137) და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებს (მუხლი 138, 139). სისხლის სამართლის კოდექსში ამ დანაშაულების განმარტება შეიცავს ძალის გამოყენების მუქარას ან ძალის გამოყენებას, ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებას, რაც საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება.

სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლის თანახმად, ეს დანაშაულები უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ მსხვერპლის მხრიდან თანხმობის არარსებობას. სტამბოლის კონვენციაში გაუპატიურება განმარტებულია, როგორც: „თანხმობის გარეშე სხვა პირის სხეულში ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევის სექსუალური ხასიათის ქმედება, სხეულის ნებისმიერი ნაწილით ან საგნით“.[1] კონვენციაში ასევე განმარტებულია, რომ თანხმობის „მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინებით“.[2] ეს მიდგომა მიღებულია რომის სტატუტით, ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდასთვის საერთაშორისო სპეციალური ტრიბუნალების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ.[3] გაეროს

---

[1] მუხლი 36(1)(ა), სტამბოლის კონვენცია.

[2] მუხლი 36(2), სტამბოლის კონვენცია. იხ. აგრეთვე, *საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში: საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019,* რომელიც, სხვა რეკომენდაციებთან ერთად შეიცავს რეკომენდაციას, მოხდეს ძალადობის ამოღება საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის გაუპატიურების განმარტებიდან, და ძალადობა განისაზღვროს აღნიშნული მუხლის დამამძიმებელ გარემოებად.

[3] იხ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *M.C. v. Bulgaria*, განცხადება No. 39272/98, 2003, პარ. 166, რომელზეც სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) და მე-8 მუხლის (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) თანახმად, პოზიტიური ვალდებულებები მოითხოვდა „ნებისმიერი ისეთი სექსუალური აქტის დასჯადობასა და ეფექტიან სამართლებრივ დევნას, რომელიც არ ემყარებოდა თანხმობას, მათ შორის, მსხვერპლის მხრიდან ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევის არარსებობის შემთხვევაში“; საქმე *Vertido v. The Philippines*, Communication No. 18/2008, გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, 2010 წლის 1 სექტემბერი, პარ. 8.5, 8.9, (დადგინდა მე-2 (გ) და (ვ) მუხლის და მე-5 (ა) მუხლის დარღვევები;

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა საქმეზე *Vertido v. Philippines*: „კანონში ან პრაქტიკაში არ უნდა არსებობდეს ვარაუდი, რომ ქალს მიცემული აქვს თანხმობა, იმ გარემოებაზე დაყრდნობით, თუ მან ფიზიკურად არ გაუწია წინააღმდეგობა არასასურველ სექსუალურ ქცევას, იმის მიუხედავად, დაემუქრა თუ არ დამნაშავე ფიზიკური ძალადობით ან გამოიყენა თუ არა ასეთი ძალადობა“.[4]

გაეროს გზამკვლევში ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაცია, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში განისაზღვროს „არაორაზროვანი და ნებაყოფლობითი თანხმობის“ დემონსტრირება, და ბრალდებულმა უნდა მოიყვანოს იმის მტკიცებულებები, თუ რა ნაბიჯები გადადგა მან დასადგენად, თანახმა იყო თუ არა მსხვერპლი კავშირზე. კანონმდებლობა ასევე უნდა ითვალისწინებდეს შესაძლებლობას, რომ დანაშაული მოხდა „იძულების გარემოებებში“, და ითვალისწინებდეს იძულების გარემოებების ფართო სპექტრს.[5]

ძალის გამოყენებით ჩადენილი გაუპატიურება და სექსუალური ძალადობა უნდა წარმოადგენდეს დამამძიმებელ გარემოებას. სისხლის სამართლის კოდექსის ამჟამინდელი რედაქციით გაუპატიურების დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს მძიმე ფიზიკური ან ფსიქიკური ტრავმის მიყენება. აქცენტი უნდა გაკეთდეს ძალადობის გამოყენებაზე, და არა მსხვერპლის მიერ განცდილ ზიანზე. **სისხლის სამართლის კოდექსში, შესაბამისად უნდა შევიდეს ცვლილება და ჩაიწეროს, რომ გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის დანაშაულები ემყარება თანხმობის ელემენტს, და დამამძიმებელ გარემოებად განისაზღვროს ძალის გამოყენებით ჩადენილი გაუპატიურება და სექსუალური თავდასხმა/ძალადობა, და არა მსხვერპლის მიერ განცდილი ზიანი. 137, 139 და 139-ე მუხლებში უნდა შევიდეს ცვლილებები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.**

ქორწინებაში გაუპატიურება არ არის კონკრეტულად განსაზღვრული დასჯადი დანაშაული, და იგი არც დამამძიმებელი გარემოების სახით არის გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ სექსუალური ძალადობის შემთხვევებში, რომლებსაც მოჰყვა ორსულობა, აბორტის ნებართვის მისაღებად სასამართლოს მიერ გაუპატიურების

წაიკითხეთ პირველ მუხლთან და კომიტეტის მე-19 ზოგად რეკომენდაციასთან კავშირში). რეკომენდაცია Rec5(2002) ასევე მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა „დასჯადი გახადონ ნებისმიერი სექსუალური აქტი, რომელიც ჩადენილია პირის მიმართ, მისი თანხმობის არარსებობის პირობებში, იმის მიუხედავად, გამოავლინა თუ არა მოცემულმა პირმა წინააღმდეგობის ნიშნები“. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2002)5 წევრი სახელმწიფოებისადმი, ქალების ძალადობისაგან დაცვის შესახებ, 2002 წლის 30 აპრილი, დანართი, მუხლი 35.

[4] *Vertido v. The Philippines*, Communication No. 18/2008, CEDAW, 2010, პარ. 8.5, 8.9.

[5] გაეროს გზამკვლევი ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობასთან დაკავშირებით, გვ. 26.

დადგენის მოთხოვნა მსხვერპლის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების სერიოზული დარღვევაა.[6]

ბ. ფემიციდი

გაეროს სახელშეკრულებო ორგანოებმა და სპეციალური მანდატის მქონე ორგანოებმა აღიარეს, რომ ფემიციდი საქართველოსათვის პრობლემას წარმოადგენს.[7] ამჟამად, როგორც ჩანს, ფემიციდის შემთხვევებში, განზრახ მკვლელობის ინციდენტები შეიძლება კვალიფიცირდეს როგორც გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაული. ამის ნაცვლად, **სისხლის სამართლის კოდექსში შეიძლება განისაზღვროს ცალკე ფემიციდის დანაშაული, პროპორციული სანქციებით.**

გ. გამოწვევა/პროვოცირება

111-ე და 121-ე მუხლები, რომლებიც ეხება განზრახ მკვლელობას და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანებას, რომელიც ჩადენილია უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, წარმოადგენს ეგრეთ წოდებულ „პროვოცირებას“, განაჩენის შემსუბუქების მიზნით. კერძოდ, ისინი ასაბუთებენ დანაშაულებს, მსხვერპლის გადაცდომის საფუძველზე.

სტამბოლის კონვენციის 42(1) მუხლის თანახმად:

> მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ნებისმიერი აქტის ჩადენასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის პროცესის დროს კულტურა, ადათ-წესები, რელიგია, ტრადიციები ან ეგრეთ წოდებული „ღირსების საკითხი“ არ ჩაითვალოს ასეთი აქტების გასამართლებელ მიზეზად. აქ იგულისხმება, კერძოდ, ისეთი განცხადებები, რომ მსხვერპლმა დაარღვია შესაბამისი ქცევის კულტურული, რელიგიური, სოციალური ან ტრადიციული ნორმები ან ადათ-წესები.

კერძოდ, ბუნდოვანია ტექსტი „ძლიერი შეურაცხყოფა, ან ნებისმიერი სხვა მძიმე ამორალური ქმედება, დამნაშავის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო ძალადობა და მნიშვნელობა აქვს მხოლოდ კონკრეტულ კულტურულ, ჩვეულებით, რელიგიურ და ტრადიციულ

---

[6] სახალხო დამცველი გამოდის ცვლილების შეტანის რეკომენდაციით, დაფინანსებისა და ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტისათვის საკმარისი იყოს საქმეზე სისხლისსამართლებრივი გამოძიების დაწყება. იხ., *საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ,* 2019.

[7] A/HRC/32/42/Add.3, პარ. 19, 20, საქართველოში 2016 წლის 15-დან 19 თებერვლამდე განხორციელებული ვიზიტი, ციტირებულია, CEDAW/C/GEO/CO/4-5, http:// www.ombudsman.ge/uploads/other/3/3389.pdf, და მთავარი პროკურატურის მონაცემები; გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი დაკვირვებები საქართველოსთან დაკავშირებული მეოთხე და მეხუთე გაერთიანებული პერიოდული ანგარიშებიდან CEDAW/C/GEO/ CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, პარ. 21(ა).

პრაქტიკაში. განმარტებითი დოკუმენტის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ აქცენტია „ღირსებაზე“ და ტრადიციისა და კულტურის სხვა ნორმებზე, „ავტორების მიზანი იყო იმისი უზრუნველყოფა, რომ მსხვერპლის ქცევის გამო მისი დასჯის მიზნით ჩადენილი დანაშაულები არ გამართლდეს“.[8]

საზოგადოდ, პროვოცირებასთან დაკავშირებული კანონები, ჩვეულებრივ, უპირატესობას ანიჭებს მამაკაცს, რომელმაც მოკლა ან ზიანი მიაყენა ინტიმურ პარტნიორს ბრაზის, ეჭვიანობის გამო, კონტროლის მიზნით, ან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ. ბევრ იურისდიქციაში, მათ შორის, ახალ ზელანდიაში, ავსტრალიასა და აშშ-ის ბევრ შტატში, დაცვის არგუმენტებად „ძლიერი სულიერი აღელვების“ ან „პროვოცირების“ გამოყენება თავისთავად დისკრიმინაციულად ითვლებოდა, და გააუქმეს.

„პროვოცირებასთან“ დაკავშირებული დებულებები გამოიყენებოდა ასევე ზოგიერთ იურისდიქციაში, იმ ქალების დაცვის არგუმენტებად, რომლებმაც მოკლეს თავიანთი მოძალადეები, და სავარაუდოდ, ეს მოიაზრება 111-ე მუხლში ასახულ ტექსტში - „აგრეთვე მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ“.

იურისდიქციებში, სადაც ეს არგუმენტი შეინარჩუნეს, ცვლილებები შეიტანეს „პროვოცირების“ დებულებებში, გენდერის თვალსაზრისით უფრო ნეიტრალური და არადისკრიმინაციული გამოყენების მიზნით. მაგალითად, მტკიცების ტვირთის შეცვლა, ტვირთის ბრალდებულზე დაკისრება, ნაცვლად ბრალმდებლისა, რათა დაამტკიცოს, რომ დიდი ალბათობით, მოხდა პროვოცირება. სხვა მიდგომა მოიცავდა „პროვოცირების“ გამოყენების ფარგლების შეზღუდვას. მაგალითად, მისი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში გამოყენება, ან გამოყენების აკრძალვა ისეთ შემთხვევებში, რომლებიც მოიცავს:

- ოჯახური ურთიერთობებს,
- ღალატის სიტუაციებს,
- მშობლის მოვალეობის ერთობლივად შესრულებასთან დაკავშირებულ კონფლიქტებს.

ასევე, შესაძლებელია 111-ე მუხლში ცვლილების შეტანა, რათა გამოირიცხოს მისი გამოყენება ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში.

დ. ოჯახური დანაშაულები

არსებობს რამდენიმე დანაშაული, რომლებსაც ჩვეულებრივ ჩადიან ოჯახის წევრები, და რომლებიც დისპროპორციულ ზეგავლენას ახდენენ ქალებზე, რომლებიც არ არის გათვალისწინებული 11[1] მუხლით. ესენი მოიცავს: განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (მუხლი 111), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი

[8] სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 216.

სულიერი აღელვების მდგომარეობაში (მუხლი 121), იძულება (მუხლი 150), ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (მუხლი 143[1]), არასრულწლოვნით ვაჭრობა (მუხლი 143[2]) და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა (მუხლი 144[3]).

იმის გათვალისწინებით, რომ ოჯახში ჩადენილი ძალადობა ქალებზე დისპროპორციულ ზეგავლენას ახდენს, **11[1] მუხლი უნდა მოიცავდეს ყველა დანაშაულს, რომლებიც ასევე დისპროპორციულ ზეგავლენას ახდენენ ქალებზე ოჯახის კონტექსტში.**

126[1] მუხლი ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის ცალკე დანაშაულს. მისი გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ზიანს არ მიუღწევია იმ ზღვრისათვის, რომელიც შეიძლება კვალიფიცირდეს როგორც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (117 მუხლი), და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება (მუხლები 118 და 120).

150-ე მუხლი, რომელიც ადგენს იძულების დანაშაულს, და 144[3] მუხლი, რომელიც ადგენს დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის დანაშაულს, დიდი ალბათობით დააკმაყოფილებს სტამბოლის კონვენციით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ფსიქოლოგიური ძალადობის კრიმინალიზაციისთვის. „იძულების გზით კონტროლი“, რომელიც ფსიქოლოგიური ძალადობის განუყოფელი ელემენტია, არის კონცეფცია, რომელსაც სულ უფრო მეტად აღიარებენ, როგორც ყველაზე ეფექტურს, იმ დინამიკის ასახვის თვალსაზრისით, რომელიც ფიგურირებს ოჯახში და ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შემთხვევებში. იძულების გზით კონტროლი ახლახან დასჯადი გახდა გაერთიანებულ სამეფოში.[9] იძულების გზით კონტროლი მოითხოვს განმეორებითი ქცევის, ანუ ქცევის ტენდენციის დადგენას. ამდენად, შესაძლებელია ამ დანაშაულისათვის სამართლებრივი დევნა 126[1] (2)(ე) და 144[3] მუხლების საფუძველზეც.

სსკ არ ახდენს ეკონომიური ძალადობის კრიმინალიზაციას, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ოჯახში ძალადობის კანონმდებლობით იგი აღიარებულია როგორც ძალადობის ფორმა და დასჯადია.

---

[9] გაერთიანებულმა სამეფომ შემდეგი სახით განმარტა ტერმინები კონტროლის შემცველი და იძულების საფუძველზე:

> მაკონტროლებელი ქცევა არის: სხვადასხვა ქმედებები, რომელთა მიზანია პირის დაქვემდებარება ან/და დამოკიდებულად გახდა მათი იზოლირებით მხარდაჭერის წყაროებიდან, მათი რესურსის და პირადი სარგებლობის შესაძლებლობებისათვის გამოყენება, მათთვის იმ საშუალებების წართმევა, რომლებიც საჭიროა დამოუკიდებლობის, წინააღმდეგობისა და თავის დაღწევისათვის და მათი ყოველდღიური ქცევის რეგულირებისათვის.
>
> იძულება არის: თავდასხმის, მუქარის, დამცირების და დაშინების ან სხვა შეურაცხყოფის მუდმივი/განგრძნობითი ქმედება ან ქმედებების მოდელი, რომელიც გამოიყენება მსხვერპლისათვის ზიანის მიყენების, მისი დასჯის, ან დაშინების მიზნით.

გაერთიანებული სამეფოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, „კონტროლზე და იძულებაზე მიმართული ქცევა ინტიმურ ან ოჯახურ ურთიერთობებში: სავალდებულო სახელმძღვანელო ჩარჩო“, 2015.

ე. სექსუალური შევიწროება

სსკ მიხედვით არ არის დასჯადი სექსუალური შევიწროება, როგორც ეს მოთხოვნილია სტამბოლის კონვენციით და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციით ძალადობისა და შევიწროების შესახებ.[10] უნდა ჩაემატოს დებულება, **რომლის მიხედვით დასჯადი გახდება სექსუალური შევიწროება სხვადასხვა სფეროებში,** მათ შორის, საჯარო სივრცეში, სამსახურში და საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მაგალითად, საფრანგეთმა, ბელგიამ და სერბეთმა ახლახან მოახდინეს სექსუალური შევიწროების კრიმინალიზაცია, მათ შორის, საჯარო სივრცეებში.

ვ. საზიანო პრაქტიკა: ბავშვის და იძულებითი ქორწინება და ქალწულობის შემოწმება

იძულებითი ქორწინება დასჯადია სსკ-ის 150[1] მუხლით. სპეციალურმა მომხსენებელმა ბავშვების გაყიდვის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის საკითხებზე მოუწოდა საქართველოს „მოახდინოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, რათა გამონაკლისის გარეშე ქორწინების მინიმალურ ასაკად განისაზღვროს 18 წელი“.[11] საჭიროა ცვლილების შეტანა 150[1] მუხლში, რათა გამოირიცხოს დასაშვები გარემოებები 18 წელს ქვემოთ ქორწინებისათვის. რამდენიმე ქვეყანაში ახლახან ამოიღეს ასეთი გარემოებები 18 წლამდე ასაკის ბავშვების ქორწინებასთან დაკავშირებით.[12] ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში ყოფილა შემთხვევები, როდესაც, იძულებით ქორწინებასა და არასრულწლოვნის ქორწინებას მოჰყვა სუიციდის შემთხვევები საქართველოში.[13]

„ქალწულობის შემოწმება“ არ არის დასჯადი.[14] იმავდროულად, მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა

---

[10] მუხლი 40, სტამბოლის კონვენცია; მუხლი 4, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია (190) ძალადობისა და შევიწროების შესახებ, 2019; იხ. აგრეთვე CEDAW/C/GEO/CO/4-5, პარ. 29(დ), რომელიც მოუწოდებს საქართველოს, „[გააძლიეროს ზომები, რათა მოხდეს სამუშაო ადგილას ქალების სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლა და პრევენცია შრომის ინსპექციების შექმნით, შრომითი კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულების მექანიზმების უზრუნველსაყოფად.“ CCPR/C/GEO/CO/4, პარ. 7(დ).

[11] A/HRC/34/55/Add.1, პარ. 82(დ).

[12] UN Women, *ევროპასა და ცენტრალურ აზიაში პეკინის დეკლარაციის და სამოქმედო პლატფორმის განხორციელების რეგიონული შეფასება*, 2020, გვ. 45.

[13] A/HRC/32/42/Add.3, პარ. 22, (აღნიშნულია, რომ 2014 წელს დაახლოებით 36 ქალმა ჩაიდინა თვითმკვლელობა)

[14] გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი დაკვირვებები საქართველოს გაერთიანებულ, მეოთხე და მეხუთე პერიოდულ ანგარიშებთან დაკავშირებით, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014, პარ. 21(დ), რომელიც მოუწოდებს საქართველოს, „აკრძალოს და სათანადო სანქციები განსაზღვროს ქალწულობის შემოწმების პრაქტიკის გამო, რომლებსაც ქალებზე ახორციელებენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევით“.

და ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მოუწოდეს საქართველოს, „მიიღოს ზომები, რათა აღმოიფხვრას დაბადებამდე სქესის დადგენის საფუძველზე შერჩევითი აბორტების პრაქტიკა“.[15]

ზ. კიბერდანაშაული და ჩაგვრა

მართალია, სსკ და სსსკ ყოვლისმომცველად ითვალისწინებენ ტექნოლოგიების როლს და გამოყენებას, სსკ-ში შეიძლება უფრო კონკრეტულად განისაზღვროს კიბერდანაშაულის ფორმები, რომლებიც დისპროპორციულ ზეგავლენას ახდენს ქალებზე. მაგალითად, სხვა ქვეყნებმა შეიმუშავეს კონკრეტული კანონმდებლობა „პორნოშურისძიების“ , „კაბის ქვეშ გადაღების“ და „სექსტინგის“ შესახებ.[16] კიბერ ჩაგვრა ასევე დისპროპორციულ ზეგავლენას ახდენს ქალ სტუდენტებზე/მოსწავლეებზე, ჟურნალისტებზე, პოლიტიკოსებსა და სხვა საჯარო პირებზე და საზოგადოებრივ მოღვაწეებზე.[17]

მართალია, კიბერ სივრცესთან დაკავშირებული ძალადობის გენდერული განზომილებები შესაძლოა მოცული იყოს კონკრეტული დანაშაულების კვალიფიკაციით, როგორიცაა დევნა და პირადი ცხოვრების საიდუმლოს გამჟღავნება, ასევე, სქესის ნიშნით თანასწორუფლებიანობის დარღვევა (მუხლი 142), ან გენდერული სტერეოტიპებით მოტივირებული დანაშაულები (მუხლი 53[1] (1)), მოქმედი საკანონმდებლო ბაზა ზუსტად არ ასახავს ამ დანაშაულების გენდერულ ასპექტს.

თ. დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

ოჯახში ძალადობის შესახებ კანონი ითვალისწინებს შემაკავებელ და დამცავ ორდერებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის. ამის მიუხედავად, დაცვა აუცილებელია იმ შემთხვევებში, რომლებიც მოიცავს ქალთა მიმართ ძალადობის ნებისმიერ ფორმას (ადევნება, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, და ა.შ.),

---

[15] გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი დაკვირვებები საქართველოს გაერთიანებულ, მეოთხე და მეხუთე პერიოდულ ანგარიშებთან დაკავშირებით, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014, პარ. 31(ბ); იხ. აგრეთვე, CCPR/C/GEO/CO/4, პარ. 7(ვ).

[16] 2015 წელს, გაერთიანებულმა სამეფომ დაადგინა საპატიმრო სასჯელი ორ წლამდე ვადით პორნოშურისძიების გამო. 2019 წელს, გაერთიანებულ სამეფოში მიიღეს ვოიარიზმის დანაშაულების შესახებ აქტი, რომლის მიხედვით, დასჯადი გახდა უნებართვოდ ფოტოების გადაღება ქალის კაბის ან მამაკაცის კილტის ქვეშ, შორისის სურათის/გამოსახულების, საცვლის, და ზოგჯერ გენიტალიების გადაღება. ესპანეთში დასჯადი გახდა „სექსტინგი“, და ონლაინ ბავშვების მიერ გარყვნილი ქმედებების გამოწვევა. ავსტრიაში დასჯადი გახდა კიბერ ჩაგვრა. შვედეთმა და საფრანგეთმა დასჯადი გახდა პორნოგრაფია შურისძიების მიზნით და სენსიტიური გამოსახულებების გავრცელება.

[17] ევროპის საბჭო და პარლამენტთაშორისი კავშირი, *სექსიზმი, შევიწროება და ქალთა მიმართ ძალადობა ევროპის პარლამენტებში,* 2018; ევროპის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და განვითარების ორგანიზაცია, გოგონები, ვაჟებთან შედარებით უფრო მეტად დაუცველები არიან კიბერ ბულინგის მიმართ, 2014 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, ხელმისაწვდომია: https://www.oecd.org/gender/data/girls-are-more-exposed-than-boys-to-cyberbullying.htm.

ასევე ძალადობის იმ ოჯახის კონტექსტის გარეთ შემთხვევებს, მათ შორის, ქალთა ადამიანის უფლებების დამცველის, ქალი პოლიტიკოსების და სხვა საზოგადოებრივი მოღვაწეების მიმართ. მათ დაცვაში როლი უნდა ითამაშოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესის ყველა ეტაპმა, ამისათვის საჭიროა შემდეგი ქმედებები: რისკების შეფასების განხორციელება და განახლება, მათ შორის, მოკლე და გრძელვადიანი დამცავი ორდერების, და მსხვერპლებისა და მოწმეებისათვის სასამართლოში და სასამართლოს გარეთ აუცილებელი დაცვის უზრუნველყოფა, მათ შორის.

ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ კანონის (ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის) მე-10 მუხლი ითვალისწინებს დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემას, რომელსაც გამოსცემენ მოსამართლეები და სამართალდამცავი ორგანოები, შესაბამისად. რჩება შეკითხვები რამდენად ხელმისაწვდომია ეს მექანიზმები ოჯახში ძალადობის კონტექსტს მიღმა გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთათვის, მაღალი რისკის შემცველ საქმეებში. ამ თვალსაზრისით, დანიამ შექმნა სპეციალური დროებითი შემაკავებელი ორდერები ადევნებასთან დაკავშირებით, ხოლო გაერთიანებულმა სამეფომ დანერგა დამცავი ორდერები ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების და იძულებითი ქორწინების შემთხვევებისათვის.[18] ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ ასევე გაითვალისწინონ რისკების შეფასებები ოჯახში ძალადობის კონტექსტს მიღმა, რათა შეაფასონ ქალთა უფლებადამცველთა და ცნობადი ქალი საზოგადო მოღვაწეების/ცნობადი ქალების, როგორიცაა ჟურნალისტები, პოლიტიკოსები და ხელოვანების მიმართ არსებული უსაფრთხოების რისკები, მათ შორის, კიბერ ძალადობის კუთხით.

დასჯადი უნდა გახდეს შემაკავებელი და დამცავი ორდერების დარღვევა. სტამბოლის კონვენციის 53(3) მუხლის თანახმად: „მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაბამისი შემაკავებელი ან დამცავი ორდერები გაიცემოდეს ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ყველა ფორმის ძალადობის მსხვერპლთა მიმართებით.“ ორივე ორდერის პირველი დარღვევა ამჟამად რეგულირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კოდექსით, რომელიც არ აისახება დამნაშავის ნასამართლობის შესახებ ჩანაწერებში. სისხლის სამართლის კოდექსის 381^1-ე მუხლის მიხედვით დაწესებულია სისხლის სამართლებრივი სანქციები პირის მიმართ, რომელმაც დაარღვია შემაკავებელი ან დამცავი ორდერი, და რომელსაც უკვე დაკისრებული ჰქონდა ადმინისტრაციული ჯარიმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175^2 მუხლის საფუძველზე. ამდენად, შემაკავებელი ან დამცავი ორდერის დარღვევა მხოლოდ მეორე დარღვევის შემთხვევაში ხდება სისხლის სამართლის წესით დასჯადი.

შემაკავებელი ან დამცავი ორდერის ყოველი დარღვევა უნდა იყოს მითითებული დამნაშავის ნასამართლობის ისტორიაში, რათა დადგინდეს მკაფიო ისტორია

[18] გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women), *ევროპასა და ცენტრალურ აზიაში პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის რეგიონული შეფასება,* 2020, გვ. 49, 50.

შეურაცხყოფის რისკების შეფასების მიზნით და სასჯელის გაძლიერების მიზნით. ამას გარდა, რეციდივისტების მსხვერპლები უნდა სარგებლობდნენ გაძლიერებული ან/და გახანგრძლივებული დაცვით. რეციდივისტები უნდა დაექვემდებარონ სავალდებულო დაკავებას.[19]

381[1] მუხლის თანახმად: „შემაკავებელი ორდერით ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა... ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.“ ჯარიმის დაკისრებამ, რომელსაც ხშირად ოჯახის ბიუჯეტიდან ფარავენ, შესაძლოა მსხვერპლზე დამატებით უარყოფითად აისახოს, და დააბრკოლოს მის მიერ დანაშაულის შეტყობინება. ჯარიმა, როგორც პოტენციური დამატებითი ტვირთი დაზარალებულისათვის, დამნაშავის დასასჯელად შეუსაბამო ფორმაა. საჭიროა ცვლილების შეტანა 381[1] მუხლში რათა გამოირიცხოს ჯარიმა, როგორც სანქცია დამცავი ორდერის დარღვევისათვის.

სისხლის სამართლის კოდექსი მოიცავს რამდენიმე დებულებას, რომლებიც ითვალისწინებენ უფრო მსუბუქ სასჯელს და პირობით მსჯავრს და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები 55, 63, 68, 70, და 70[1] და სსსკ-ის მუხლები 284, 285 და 285[1]) გარკვეული საფუძვლებით. როგორც სსსკ-ის მიმოხილვით დადგინდა, ეს დებულებები ზეგავლენას ახდენს მსხვერპლის უფლებებზე.[20] დამნაშავის ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში დაცვა წარმოადგენს ერთ ასეთ ადამიანის უფლებასთან დაკავშირებულ საკითხს, რომელზეც საჭიროა რეაგირება, ქალის მიმართ ძალადობის შემთხვევებში პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების გამორიცხვით, ან დაცვის გრძელვადიანი ზომების სავალდებულოდ დაწესებას გათავისუფლების შემთხვევაში. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე დიდხნიანი დამცავი ორდერის ხანგრძლივობა შეადგენს ერთ წელზე ნაკლებს.[21]

---

[19] სახალხო დამცველის აპარატი, *სპეციალური ანგარიში: ოჯახში ძალადობისაგან დაცვის მექანიზმის შეფასება,* 2017, გვ. 18, სადაც მითითებულია: „ოჯახში ძალადობის შემთხვევებში ძალადობის განმეორებით ჩადენის ინდიკატორის გათვალისწინება და სათანადო დამცავი ზომების გამოყენება“.

[20] იხ., სსსკ მიმოხილვა, პარ. 555, 556, 558, 563, 595, 596, 598, 599, 600, 601, 603-606.

[21] ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის 12(1) მუხლი ადგენს დამცავი ორდერების ზღვარს, ექვსი თვის ვადით; აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს ამ ვადის გაგრძელებას მაქსიმუმ 3 თვით, ამდენად, დაცვის ხანგრძლივობა შეიძლება შეადგენდეს 9 თვეს ჯამში, მიუხედავად ფაქტობრივი, გრძელვადიანი რისკისა დაზარალებულის/მსხვერპლის მიმართ. როგორც სახალხო დამცველის აპარატმა გამოავლინა, „“მსხვერპლებს უჭირთ მოძალადისაგან საბოლოოდ თავის დაღწევა [], და შესაბამისად, არ მიმართავენ გრძელვადიანი დაცვის ღონისძიებას“. სახალხო დამცველის აპარატი, *სპეციალური ანგარიში: ოჯახში ძალადობისაგან დაცვის მექანიზმის შეფასება* 2017, გვ. 7.

ი. გენდერული მიკერძოების და სხვა დამამძიმებელი ფაქტორები

საქართველოს მიერ გენდერის ჩართვა ერთ-ერთ მოტივად 53[1](1) მუხლში, მნიშვნელოვან წინსვლას წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების მოდელის გამოყენების მიმართულებით.

53[1](2) მუხლის მიხედვით, დამამძიმებელ გარემოებად განისაზღვრება ასევე ოჯახში ჩადენილი დანაშაული. 142[1] მუხლი ადგენს დამამძიმებელ გარემოებად რასობრივი დისკრიმინაციით დანაშაულს. დამამძიმებელი გარემოებები ასევე განსაზღვრულია კონკრეტული დანაშაულებისათვის, მათ შორის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე და ნაკლებ მძიმე დაზიანებისათვის (მუხლები 117, 118, 120) და ოჯახში დანაშაულისათვის, მუხლი 126[1](2). მუხლი 126[1](2) ითვალისწინებს შემდეგ დამამძიმებელ გარემოებებს:

ა) წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;

ბ) არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;

გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

დ) ჯგუფურად;

ე) არაერთგზის.

მართალია, სამართლებრივი ბაზა ზემოაღნიშნული დანაშაულებისათვის მოიცავს დამამძიმებელი გარემოებების ფართო სპექტრს, სტამბოლის კონვენციის 46-ე მუხლით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები, რომლებიც უნდა გავრცელდეს კონვენციით[22] განსაზღვრულ ყველა დანაშაულზე ჯერ არ არის ყოვლისმომცველად ასახული სსკ-ში. ესენი მოიცავს:

- დანაშაული, რომელიც ჩადენილია ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლის ან პარტნიორის მიმართ, როგორც ეს აღიარებულია შიდა კანონმდებლობით, ან ოჯახის წევრის მიერ, პირის მიერ, რომელიც მსხვერპლთან ერთან ცხოვრობს, ან პირის მიერ, რომელმაც საკუთარი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა
- დანაშაული, ან დაკავშირებული დანაშაულები, განმეორებით ჩადენილი
- დანაშაული ჩადენილი იყო პირის მიმართ, რომელიც მოწყვლადი გახდა კონკრეტული გარემოებების გამო
- დანაშაული ჩადენილი იყო ბავშვის მიმართ ან მისი თანდასწრებით
- დანაშაული ჩადენილი იყო ორი ან მეტი ადამიანის მიერ, რომლებიც ერთად მოქმედებდნენ

[22] სტამბოლის კონვენციის 33-40 მუხლები მოუწოდებს სახელმწიფოებს, დანაშაულად ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები: ფსიქოლოგიური ძალადობა, ადევნება, ფიზიკური ძალადობა, სექსუალური ძალადობა და გაუპატიურება, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია და სექსუალური შევიწროება, შესაბამისად.

- დანაშაულს წინ უძღვოდა ან ახლდა ძალადობის ექსტრემალური დონე
- დანაშაული ჩადენილი იყო იარაღის გამოყენებით ან გამოყენების მუქარით
- დანაშაულის შედეგად მსხვერპლს მიადგა მძიმე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანი
- დამნაშავე მანამდე იყო მსჯავრდებული მსგავსი ხასიათის დანაშაულებში.

ზემოთ ჩამოთვლილი დამამძიმებელი გარემოებების უმეტესობა გათვალისწინებულია ჯანმრთელობის მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანების და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში. **ცვლილებების შედეგად, ზემოთ ჩამოთვლილი ყველა დამამძიმებელი გარემოება უნდა მოიცავდეს სტამბოლოს კონვენციით განსაზღვრულ ყველა დანაშაულს.**

III. სისხლის სამართლის პროცედურა

სახალხო დამცველის აპარატის შესაბამისად, დაბრკოლებები **დაზარალებულის სტატუსის მინიჭების პროცესში** გამოწვევას უქმნის მსხვერპლის უფლებების დაცვას. ეს საკითხი ჩართული იყო სსსკ-ის მიმოხილვაში, სადაც კითხვის ნიშნის ქვეშ იყო დაყენებული „დაზარალებულის“ სტატუსის ოფიციალურად აღიარების მოთხოვნის აუცილებლობა.[23] დაზარალებულს უნდა ჰქონდეს უფლება გაასაჩივროს დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარი არა მხოლოდ ზემდგომ პროკურორთან. მსხვერპლს ასევე უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს საქმის მასალებს სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, და არა მხოლოდ წინასასამართლო განხილვის ეტაპზე, როგორც ამას სსსკ-ის 57(1)(კ) მუხლი ადგენს.[24]

თუ გავითვალისწინებთ ძალადობის ციკლის ხასიათს, არსებობს ტენდენცია, რომ მსხვერპლმა გაიხმოს საჩივარი ან უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, ან შეცვალოს ჩვენება, ხშირად დამნაშავ(ეებ)ის მხრიდან მუქარის გამო. ამდენად, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სამართლებრივი დევნა განხორციელდეს *ex officio* წესით.[25] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec5(2002) წევრი სახელმწიფოებისადმი ძალადობისაგან ქალთა დაცვის შესახებ ადგენს, რომ სახელმწიფოებმა უნდა „უზრუნველყონ, რომ შესაძლებელი იყოს სისხლის სამართლებრივი წარმოების დაწყება სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ,“ და შესაბამისად, სამართალწარმოების დასაწყებად აუცილებელი წინაპირობა არ უნდა იყოს დაზარალებულის მიერ საჩივრის წარდგენა.

115-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს თვითმკვლელობამდე მიყვანის დანაშაულს, ასევე უნდა იყოს გამოძიებული როგორც *ex officio* დანაშაული.

---

[23] იხ., სისხლის სამართლის პროცედურის მიმოხილვა, პარ. 167-169.

[24] იხ., *გენდერული ანალიზი პროექტისათვის „სასამართლო რეფორმების განხორციელება საქართველოში,“* 2019, გვ. 21.

[25] იხ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *Opuz v. Turkey,* განცხადება no. 33401/02, 2009 წლის 9 ივნისი, პარ. 143, 145-149.

ა. სასამართლოში და სასამართლოს გარეთ დაცვა

სტამბოლის კონვენციის 56-ე მუხლი ითვალისწინებს დაცვითი ღონისძიებების სრულ სპექტრს გენდერული ნიშნით დანაშაულების მსხვერპლთათვის (რომელიც უნდა გავრცელდეს ყველა მოწყვლად მსხვერპლზე). ეს მოიცავს დაშინებისაგან და განმეორებითი ვიქტიმიზაციისაგან დაცვას, მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და გამოსახულების დაცვას, ინფორმაციის მიწოდებას მათი უფლებების შესახებ, სამართალწარმოების მიმდინარეობის, და დამნაშავის გათავისუფლების შესახებ, უფლებას, მოუსმინონ, იყოს მოსმენილი, სერვისებზე წვდომის უფლებას და „მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის სასამართლოსა და სამართალდამცავ ორგანოებში კონტაქტის“ პრევენციას, მათ შორის, მსხვერპლის მიერ ჩვენების მიცემისას. ამ დაცვითი უფლებების დიდი ნაწილი მოცულია მოქმედი საკანონმდებლო ბაზით.

საჭიროა შეძლებისდაგვარად კონტაქტის პრევენცია ბრალდებულსა და გენდერული ნიშნით ძალადობის შედეგად დაზარალებულ პირს შორს სასამართლოებში, სტამბოლის კონვენციის 56(ზ) მუხლის თანახმად. მუხლი 56(ი) ასევე ითვალისწინებს:

> მსხვერპლისთვის იმის შესაძლებლობის მიცემით, მათი ქვეყნის შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად, რომ სასამართლო დარბაზში ჩვენება მისცენ დაუსწრებლად ან, ყოველ შემთხვევაში, სავარაუდო დამნაშავე პირის არყოფნის დროს, კერძოდ, შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, სადაც ეს შესაძლებელია.

აღნიშნული გულისხმობს, რომ მსხვერპლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოუსმინონ სასამართლო სხდომათა დარბაზში, ამისათვის აუცილებელი არ არის მათი იქ ფიზიკურად ყოფნა, ან სულ მცირე, არ უნდა მოუწიოთ ბრალდებულის დანახვა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე აღიარა დაცვის უფლების შეზღუდვები, დაურეკონ და დაკითხონ მოწმეები გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევებში.[26] ამ თვალსაზრისით, **საჭიროა ცვლილების შეტანა სსსკ-ის 142(2) მუხლში, რომელიც ითვალისწინებს მხარის მიერ პირადად დაკითხვას, უნდა გადაისინჯოს და ეს უნდა გამოირიცხოს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში. ცვლილება უნდა შევიდეს ასევე სსსკ-ის 245-ე მუხლში ჯვარედინი დაკითხვის შესახებ და გამოირიცხოს მსხვერპლის პირდაპირ გამოკითხვა ბრალდებულის მიერ ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში.[27] ამ მიზნით, შეიძლება 45-ე მუხლით სავალდებულო მოთხოვნის სახით იყოს გათვალისწინებული ადვოკატის მონაწილეობა.**

---

[26] იხ., *Y. v. Slovenia*, Application No. 41107/10, 2015 წლის 28 მაისი.

[27] შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს ასევე მუხლში 115(2), რომელშიც მითითებულია 245-ე მუხლი.

უფრო ზოგადად, როგორც აღნიშნულია სსსკ-ის მიმოხილვაში, 115-ე მუხლში უნდა შევიდეს ცვლილება რათა გათვალისწინებული იყოს მოწყვლადი მოწმეების დაცვის საჭიროება, „მათ შორის, შესაძლებლობა, რომ გამოკითხვის კონკრეტული ფორმა ან მისი ჩატარება ეჭვმიტანილის მიერ იყოს არასათანადო“.[28] სსსკ-ის მიმოხილვაში ასევე აღნიშნულია, რომ უნდა დაზუსტდეს მუხლი 40(1), რომლის მიხედვითაც იზღუდება ბრალდებულის უფლება, იმყოფებოდეს მოსმენაზე, თუ გამოყენებულია მოწმის მიმართ დამცავი ზომა.[29]

უნდა აღინიშნოს, რომ მუხლი 49(1)(ვ) შესაძლებლობას აძლევს მოწმეებს, „მოითხოვონ დაცვის სპეციალური ზომის გამოყენება“. დამცავი ზომების გამოყენება შეიძლება ასევე მოთხოვნილი იყოს პროკურორის ან მოსამართლის მიერ, რისკების შეფასების შედეგების საფუძველზე. ეს უნდა დაემატოს ბრალდების მხარის ფუნქციების ნუსხას, სსსკ-ის 33(6) მუხლის ფარგლებში.

სსსკ-ის 57-ე და 58-ე მუხლები მოიცავს მრავალ აქტუალურ უფლებას. მუხლი 57(1)(ზ)(ი) და (ლ) და მუხლი 58 შესაძლებლობას აძლევს მსხვერპლს, მოითხოვოს: დამცავი ზომები, ინფორმაცია შემაკავებელი ზომის და მსჯავრდებული პირის გათავისუფლების შესახებ, და სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვა, და კონკრეტული პროცედურების დროის და ადგილის წინასწარ შეტყობინება, შესაბამისად. ეს გადაწყვეტილებები ასევე უნდა შედიოდეს პროკურატურის და სასამართლოს პასუხისმგებლობაში, და არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ და მხოლოდ მსხვერპლის თხოვნაზე.[30]

მსხვერპლის უფლების გათვალისწინებით, ეცნობოს დამნაშავის პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ, **სსსკ-ის 176-ე მუხლში,** გათავისუფლების საფუძვლის შესახებ, შეიძლება მითითება გაკეთდეს ამ მოთხოვნაზე ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში.

მოწმის ანონიმურობასთან და მოწმეების სკრინინგთან/შერჩევასთან დაკავშირებული საკითხები ყოვლისმომცველად არის განხილული სსსკ-ის მიმოხილვაში.[31]

რაც შეეხება ბრალდებულის მიმართ შემაკავებელი ზომის დონეს და საშუალებას, **სსსკ-ის მუხლი 199(3)** უნდა მოიცავდეს ელექტრონულ თვალყურის დევნებას გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევებში. (ელექტრონული მონიტორინგი მითითებულია მე-2 პუნქტში). ასეთ შემთხვევებში, შემაკავებელი ზომის სახეობა უნდა განისაზღვროს განახლებული რისკების შეფასების საფუძველზე, რომელიც განხორციელდება სამართალდამცავი ორგანოს მიერ (ან პროკურატურის ან სასამართლოს მიერ). 199-ე **მუხლში ჩართული უნდა იყოს მითითება ასეთ**

[28] სსსკ-ის მიმოხილვა, პარ. 286, ციტირება *S.N. v. Sweden*, no. 34209/96, 2002 წლის 2 ივლისი და *Y v. Slovenia*, no. 41107/10, 2015 წლის 28 მაისი.

[29] იხ. სსსკ-ის მიმოხილვა, პარ. 107, 108.

[30] იხ. აგრეთვე სსსკ-ის მიმოხილვა, პარ. 176-179, მითითება დირექტივაზე 2012/29/EU.

[31] იხ. სსსკ-ის მიმოხილვა, პარ. 353-360.

შემთხვევებში რისკების შეფასების მოთხოვნაზე, რომელიც რეგულარულად უნდა განახლდეს, განსაკუთრებით მაღალი რისკის შემთხვევებში.

ბ. მტკიცებულებითი საკითხები

სსსკ არ ითვალისწინებს ცალკე მტკიცებულებით წესს, რომელიც შეზღუდავს მსხვერპლის ხასიათთან ან წარსულში სექსუალურ ქცევასთან დაკავშირებით მტკიცებულების გამოყენებას სექსუალური ძალადობის შემთხვევებში. კონკრეტული მტკიცებულებითი წესი უნდა დაინერგოს სსსკ-ში, და შეიზღუდოს ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლებზე და წარსულში ქცევაზე აპელირება სექსუალური ძალადობის შემთხვევებში. **მტკიცებულება, რომელიც უკავშირდება მსხვერპლის სექსუალურ ისტორიას და ქცევას ნებადართული უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი აქტუალური და აუცილებელია.**

თანხმობის არარსებობის დემონსტრირება სექსუალური ძალადობის საქმეებში წამოჭრის მტკიცებულებებთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ გამოწვევებს. ამ საკითხის გადაჭრის ერთი გზაა, რომ ბრალდებულისგან უფრო წონადი მტკიცებულების მოთხოვნა იმის დასამტკიცებლად, რომ მან სცადა თანხმობის მოპოვება, ან სხვა მსგავსი მტკიცებულებითი სტანდარტის მოთხოვნა. **სსსკ-ში უნდა შევიდეს ცვლილება და გათვალისწინებული იყოს თანხმობასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთი სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე.**

ზოგიერთი დანაშაული წარმოადგენს ცალკეულ ინციდენტს, სხვები კი „ქცევის ტენდენციებს“ მოიცავენ. ამ უკანასკნელებს მიეკუთვნება ისეთი დანაშაულები, როგორიცაა: ინტიმური პარტნიორის მხრიდან და ოჯახში ძალადობა (იძულებითი/ძალადობრივი კონტროლი), ადევნება, ადამიანით ვაჭრობა, სექსუალური შევიწროება, და ზოგჯერ, სექსუალური ძალადობა. ხშირად, ქცევის ტენდენციის დემონსტრირებისათვის, რომელიც შესაძლოა რამდენიმე წლის განმავლობაში ხორციელდებოდეს, საჭიროა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში განხორციელებული ღონისძიებების მტკიცებულება (შეტანილი საჩივრები, წარსულში რისკების შეფასებები და დამცავი ორდერები, ნასამართლობა, და ა.შ.).

ამ თვალსაზრისით, საჭიროა ცვლილების შეტანა **სსსკ-ის 238-ე მუხლში ბრალდებულის წარსულში მსჯავრდების გათვალისწინების კუთხით.** ოჯახური და ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შემთხვევებში, აქტუალურია წარსულში მსჯავრდება და ადმინისტრაციული სამართალდარღვევები დანაშაულის განგრძობითი ხასიათისათვის და ნებადართული უნდა იყოს იძულების საფუძველზე კონტროლის მოდელების დემონსტრირება. ასეთ შემთხვევაში უნდა დაიშვას გამონაკლისი 238 მუხლიდან.

ამჟამად არ არსებობს წესები, რეგულაციები ან გაიდლაინები **სასამართლო ექსპერტიზის მტკიცებულების** შესახებ სექსუალური ძალადობის საქმეებში, მათ შორის, მათი ხელმისაწვდომობა სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის.[32] სსსკ-ის **111(9) მუხლი** უნდა გავრცელდეს სასამართლო ექსპერტიზაზე

[32] სავარაუდოდ, ეხება 111 და 147-ე მუხლები.

სექსუალური ძალადობის შემთხვევებში, რათა, შესაძლებლობის შემთხვევაში, მოხდეს ასეთ საქმეებში ქალი ექსპერტის ჩართვის მოთხოვნის დაყენება. უფრო სპეციალური კანონმდებლობით შესაძლოა:

- გათვალისწინებული იყოს ვალდებულება, სათანადოდ მოხდეს მოპოვება და სასამართლოსთვის სამედიცინო და სასამართლო ექსპერტიზის მტკიცებულებების წარმოდგენა, როდესაც ეს შესაძლებელია;
- მოპოვებული სამედიცინო და სასამართლო ექსპერტიზის მტკიცებულებების დროულად შემოწმების ვალდებულების გათვალისწინება;
- უზრუნველყოფა, რომ თავიდან იყოს აცილებული სამედიცინო და სასამართლო ექსპერტიზის მტკიცებულებების მრავალჯერ შეგროვება, რათა შეიზღუდოს მომჩივანის მეორადი ვიქტიმიზაცია;
- გათვალისწინება, რომ სამედიცინო და სასამართლო ექსპერტიზის მტკიცებულება არ იყოს აუცილებელი დამნაშავის მსჯავრდებისათვის.[33]

გ. საპროცესო შეთანხმება

საპროცესო შეთანხმების გამოყენებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულის მსხვერპლებზე. კონსულტანტს ესმის, რომ სამართლებრივი დევნის არსებული პროტოკოლი ან პრაქტიკა არ ითვალისწინებს გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევებში საპროცესო შეთანხმებას. მიმოხილვის ფარგლებში განხილული იყო სსსკ-ის საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული დებულებები, მათ შორის, დაზარალებულების უფლებების გათვალისწინების საჭიროება.[34]

დ. სასამართლო გადაწყვეტილებები და განაჩენები

დასაბუთებული გადაწყვეტილების მოთხოვნა კანონის უზენაესობის ძირითადი პრინციპია. თუმცა, სახალხო დამცველის აპარატის დაკვირვების თანახმად:

> განმეორებითი ძალადობა არ აისახება სასამართლოს გადაწყვეტილებებში და თითოეული შემთხვევა განყენებულად არის განხილული. ძალადობის განმეორებითი ხასიათის აღნიშვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და მსხვერპლის რეალურად დასაცავად, რადგან ერთი პირის მიერ ძალადობრივი აქტის განმეორება

[33] გაეროს გზამკვლევი ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესახებ, გვ. 41. რეკომენდაცია Rec (2002)5 ასევე მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა „გაატარონ ყველა აუცილებელი ზომა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასამართლო ექსპერტიზის მტკიცებულებების და ინფორმაციის შეგროვება სტანდარტიზებული პროტოკოლის და ფორმების შესაბამისად“. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2002)5 წევრი სახელმწიფოებისადმი ქალთა ძალადობისაგან დაცვის შესახებ, 2002 წლის 30 აპრილი, დანართი, 25-ე მუხლი.

[34] სსსკ-ის მიმოხილვა, პარ. 405-421.

მომეტებულ რისკებს უკავშირდება და აუცილებლად უნდა იქნას მიღებული მხედველობაში.[35]

შედეგად, მართალია საკანონმდებლო ბაზა ითვალისწინებს განმეორებით და განგრძობით დარღვევებს ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია მათი მითითება სასამართლო გადაწყვეტილებებში.

ამას გარდა, სახალხო დამცველის აპარატმა ასევე აღნიშნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები „ჩვეულებრივ, არ მოიცავს ფაქტების აღწერას; ამდენად, ძალადობის ხასიათის დადგენა და მსხვერპლის მომავალი რისკების განსაზღვრა შეუძლებელია."[36] მასში ხაზგასმულია საჭიროება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები მოიცავდეს „ინფორმაციას ძალადობის აქტის სპეციფიკის შესახებ და იმ ადგილის/გარემოს შესახებ, სადაც ძალადობა მოხდა", ასევე „ოჯახების და ოჯახის ცალკეული წევრების სოციალური სტატუსის შესახებ, განსაკუთრებით იმ პირებისა, რომლებიც ალკოჰოლს და სხვა ნივთიერებებს მოიხმარენ". სსსკ-ის მიმოხილვა ასევე შეიცავს რეკომენდაციას, ცვლილებები შევიდეს სსსკ-ის 254-ე მუხლში და უზრუნველყოფილი იყოს, რომ განაჩენები ითვალისწინებდეს შესაბამის „ფაქტებს და სამართლებრივ დებულებებს.[37] გარდა ამისა, სსსკ-ის 194(2) მუხლი ითვალისწინებს, რომ გადაწყვეტილება უნდა „იყოს დასაბუთებული", ამდენად, მოცულია არა მხოლოდ საბოლოო განაჩენი. მნიშვნელოვანია, რომ ამ სტანდარტის გამოყენება მოხდეს დამცავი ორდერების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებებისათვის, ვინაიდან დეტალური და კონკრეტული ინფორმაციის არარსებობამ შესაძლოა ორდერით განსაზღვრული ზომები არაეფექტიანი გახადოს.[38]

კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატი გამოვიდა რეკომენდაციით, განისაზღვროს კონკრეტული ინფორმაცია იმის თაობაზე, ფიზიკური ძალადობა მოიცავდა თუ არა მძიმე დაზიანებებს ან ჩადენილი იყო თუ არა სისასტიკით, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს ძალადობის ესკალაციის მაღალ რისკზე ან ფემიციდზე.[39]

254 მუხლში და სხვა დებულებებში შესატან ცვლილებებში უნდა აისახოს შესაბამისი ფაქტების აღწერა სასამართლო გადაწყვეტილებებსა და განაჩენებში, მათ შორის, დამცავი ორდერების გამოცემისას.

---

[35] სახალხო დამცველის აპარატი, *სპეციალური ანგარიში: ოჯახში ძალადობისაგან დაცვის მექანიზმის შეფასება,* 2017, გვ. 5, 10, (ასევე მითითებულია: „არის შემთხვევები, როდესაც წლის განმავლობაში ერთი და იგივე პირის მიმართ რამდენჯერმე გამოიცემა შემაკავებელი ორდერი, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილებებში ხშირად ეს გარემოება მხედველობაში არ მიიღება").

[36] სახალხო დამცველის აპარატი, *სპეციალური ანგარიში: ოჯახში ძალადობისაგან დაცვის მექანიზმის შეფასება,* 2017, გვ. 15.

[37] სსსკ-ის მიმოხილვა, პარ. 520.

[38] სახალხო დამცველის აპარატი, *სპეციალური ანგარიში: ოჯახში ძალადობისაგან დაცვის მექანიზმის შეფასება,* 2017, p. 13.

[39] სახალხო დამცველის აპარატი, *სპეციალური ანგარიში: ოჯახში ძალადობისაგან დაცვის მექანიზმის შეფასება,* 2017, p. 14.

ე. სასჯელის შეფარდება

რაც შეეხება სასჯელის შეფარდებას, არათანაზომიერად მსუბუქი სასჯელი გენდერული ნიშნით ძალადობაში მსჯავრდებული პირებისათვის ხშირად ხელს უშლის ქალების მართლმსაჯულებაზე წვდომას. როგორც ზევით აღინიშნა, სსკ-ის და სსსკ-ის რამდენიმე დებულება ითვალისწინებს მსუბუქ და პირობით მსჯავრს, და სისხლის სამართლის საქმეებზე დამნაშავეების პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას, სხვადასხვა საფუძვლებით (სსკ-ის მუხლები 53, 63, 68, 70 და 70[1], და სსსკ-ის მუხლები 284, 285, 285[1]). როგორც სსსკ-ის მიმოხილვის შედეგად გამოვლინდა, ეს დებულებები ზეგავლენას ახდენს დაზარალებულის უფლებებზე.[40] ერთ-ერთი მათგანია ქმედითი სამართლებრივი დაცვის ღონისძიებები უფლება. ამ თვალსაზრისით, სსსკ-ის მიმოხილვის მიხედვით:

> მართალია, შესაძლოა არ იყოს მიზანშეუწონელი წვრილმანი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება, მართლაც პირველი დანაშაულის შემთხვევაში, პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული მექანიზმი თითქმის არ შეესაბამება სტამბოლის კონვენციის 45-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებას -- „მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ კონვენციით დადგენილი დანაშაული ისჯებოდეს ეფექტური, თანაზომიერი და შემაკავებელი სანქციების საშუალებით, ამ დანაშაულთა სერიოზულობის გათვალისწინებით".[41]

საჭიროა ცვლილებების შეტანა სსკ-ის და სსსკ-ის ამ დებულებებში, მსხვერპლის უფლებების გათვალისწინებისათვის.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სსსკ-ის 218(8) მუხლი ითვალისწინებს გამონაკლისს იმ პირთათვის, რომლებიც მსჯავრდებული არიან სსკ-ის 144[1]-144[3] მუხლების დარღვევის გამო. მუხლი 144[3]-ის მიხედვით დასჯადია დამამცირებელი და ღირსების შემლახავი მოპყრობა, მათ შორის, იძულება. ნაწილი 2(ვ) ითვალისწინებს დამამძიმებელ გარემოებებს, თუ სახეზეა მსხვერპლის თანასწორობის დარღვევა სქესის ნიშნით. მართალია 144[3] მუხლი, ცხადია, შეიძლება გავრცელდეს ისეთ შემთხვევებზე, რომლებიც მოიცავს იძულების საფუძველზე კონტროლს ინტიმური პარტნიორის მხრიდან და ოჯახში ძალადობის შემთხვევებს, გაუგებარია, ეს დებულება გამოიყენება თუ არა ამ მიზნით.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 26-ე მუხლი და ევროკავშირის დირექტივა 2011/36 ითვალისწინებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას (დაუსჯელობას) იმ

[40] იხ. სსსკ-ის მიმოხილვა, პარა. 555, 556, 558, 563, 595, 596, 598, 599, 600, 601, 603-606.
[41] სსსკ-ის მიმოხილვა, პარ. 516.

დანაშაულებისათვის, რომლებიც ჩადენილია ადამიანით ვაჭრობის პროცესში.[42] **სსსკ-ის 167(2)(გ) მუხლი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მოსაფიქრებელი ვადით.**

სსსკ-ის 269(5)(ვ) მუხლი ასევე მოსამართლეს აძლევს უფლებას, გაათავისუფლოს ტრეფიკინგის მსხვერპლი საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის და ყალბი დოკუმენტების გამოყენების ან ფლობის გამო სასჯელის მოხდისაგან. მართალია, ეს დებულება ფორმალურად შეესაბამება ევროკავშირის დირექტივას 2011/36, თუმცა ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიერ ჩადენილი დანაშაულების მოცვის ფარგლების უკეთესად გაგება იძულების პირობებში და მათი, როგორც ტრეფიკინგს დაქვემდებარებული პირის, მდგომარეობიდან გამოწვეული, არ შემოიფარგლება სტატუსთან დაკავშირებული დანაშაულებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით სსკ-ის 143[1] შენიშვნაში 1(გ) აღიარებულია ადამიანით ვაჭრობა დანაშაულებრივი საქმიანობისათვის.

საჭიროა ცვლილებების შეტანა 269(5)(ვ) მუხლში, ორი თვალსაზრისით. პირველ რიგში, იგი უნდა მოიცავდეს ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიერ ჩადენილი დანაშაულების უფრო ფართო სპექტრს, რომლებიც დანაშაულის მიზნით არიან მოქცეულნი ადამიანით ვაჭრობაში. მეორე, უნდა აღინიშნოს, რომ თავად მსჯავრდება წარმოადგენს დასჯის ფორმას და შესაძლოა გრძელვადიანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დასაქმების და განათლების შესაძლებლობებზე, რომლებიც აიძულეს, ჩაედინათ აღნიშნული დანაშაულები, და ამდენად, რეაბილიტაციის შესაძლებლობებზე.[43] მართლაც, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) ადამიანის უფლებებისა და ადამიანით ვაჭრობის შესახებ რეკომენდებული პრინციპების და გაიდლაინების მე-7 პრინციპის მიხედვით, არდასჯის პრინციპი უნდა გავრცელდეს დაკავებასა და სამართლებრივ დევნაზე (და ამდენად, მსჯავრდებაზე) და არა მხოლოდ დასჯაზე. აღნიშნული პრინციპის მიხედვით:

> ტრეფიკინგს დაქვემდებარებული პირების **დაკავება, ბრალის წაყენება ან სამართლებრივი დევნა** დაუშვებელია მათ მიერ ტრანზიტის ან დანიშნულების ქვეყნებში არაკანონიერად შესვლის ან ცხოვრების გამო, ან **არაკანონიერ საქმიანობაში მათი მონაწილეობის გამო,** იმდენად, რამდენადაც ეს ჩართულობა წარმოადგენს **მათი, როგორც ტრეფიკინგს დაქვემდებარებული პირის, მდგომარეობის შედეგს.** (აქცენტი

[42] იხ., UNODC, ადამიანით ვაჭრობის შესახებ გლობალური ანგარიში, 2016; CEDAW, დასკვნითი დაკვირვებები საქართველოს გაერთიანებული, მეოთხე და მეხუთე პერიოდული ანგარიშების შესახებ, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014, პარ. 23(ე), სადაც საქართველოს მოუწოდებენ, „უზრუნველყოს, რომ საროსკოპოებსა და ცალკეულ დაწესებულებებზე რეიდებისას, ტრეფიკინგის და იძულებითი პროსტიტუციის მსხვერპლებს არ მოექცნენ, როგორც დამნაშავეებს“.

[43] იხ. დამატებით, OSCE, ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიმართ არდასჯის დებულების ეფექტიან გამოყენებასთან დაკავშირებული პოლიტიკა და საკანონმდებლო რეკომენდაციები, 2013; სპეციალური მომხსენებელი ადამიანებით ვაჭრობის, განსაკუთრებით ქალების და ბავშვებით, ვაჭრობის საკითხებში, არდასჯის დებულების განხორციელების მნიშვნელობა: მსხვერპლთა დაცვის ვალდებულება, 2020.

დამატებულია).

ვ. კომპენსაცია

რაც შეეხება მსხვერპლის მისაგებლის უფლებას, ეს მოიცავს: ქონების დაბრუნებას ან ზიანის ან ზარალის განცდილი გადახდას, ვიქტიმიზაციის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, მომსახურების მიწოდებას და უფლებების აღდგენას. კომპენსაცია შესაძლოა ასევე მოიცავდეს უფლებების აღდგენის ხარჯებს (მაგ., სხვა გეოგრაფიულ ადგილას მყოფი მოწმეების მოსმენასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორც მათი ფიზიკური მგზავრობის, ისე ტექნოლოგიური კომუნიკაციის დამყარების, როგორიცაა სატელეფონო ან ვიდეო კავშირის დამყარებისათვის).

გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლებს უფლება აქვთ, მიიღონ დამნაშავისაგან კომპენსაცია, და სახელმწიფოსაგან კომპენსაცია (სახელმწიფო ფონდიდან), თუ დამნაშავე ვერ ახერხებს კომპენსაციას. მათ ასევე უფლება აქვთ, მიიღონ კომპენსაცია სახელმწიფოსაგან თუ ძალადობის გამოძიების, სამართლებრივი დევნის და პრევენციისათვის არ მოხდა ჯეროვანი გულისხმიერების გამოვლენა. საქართველოს დათქმას სტამბოლის კონვენციის 30(2) [44] მუხლთან დაკავშირებით სახელმწიფო კომპენსაციის უზრუნველყოფის შესახებ მსხვერპლისათვის, თუ სხვა წყარო არ უზრუნველყოფს კომპენსაციას, ვადა გასდის 2022 წლის 1 სექტემბერს. საჭიროა მომზადება, რათა საკანონმდებლო ბაზაში აისახოს დაზარალებულის უფლება, მიიღოს კომპენსაცია სახელმწიფოსაგან. ზიანში გათვალისწინებული უნდა იყოს, მათ შორის, ანაზღაურების გარეშე სახლში საქმიანობა და მოვლა.

სსსკ-ის 260-ე მუხლი არ ითვალისწინებს მსხვერპლის მიერ კომპენსაციის მიღების უფლებებს ზიანის ან ზარალის გამო, ან გადამისამართებას სამოქალაქო სამართალწარმოებაზე.[45]

ზ. ნაფიცი მსაჯულები

221-224 მუხლები მოიცავს ნაფიცი მსაჯულების შერჩევის საკითხებს. ამ მუხლებში არ არის დაკონკრეტებული დისკრიმინაციის პრევენცია ნაფიცი მსაჯულების შერჩევაში, როგორიცაა ნაფიცი მსაჯულების სქესი ან ეთნიკური კუთვნილება. 223(5) მუხლში ბუნდოვნად არის მითითებული, რომ შერჩევა არ უნდა ემყარებოდეს „პერსონალურ მონაცემებს“. მუხლი 226(3) ასევე ითვალისწინებს, რომ „ნაფიცი მსაჯულების შემადგენლობა უნდა უზრუნველყოფდეს მის დამოუკიდებლობასა

[44] სტამბოლის კონვენციის 30(2) მუხლის თანახმად:

> შესაფერისი სახელმწიფო კომპენსაცია გადაეცემა მათ, ვინც დაზარალდა სხეულის მძიმე დაზიანების ან ჯანმრთელობის შერყევის გამო იმ შემთხვევებში, თუ მიყენებული ზარალი ვერ იფარება სხვა წყაროებით, როგორიცაა, ძალადობის აქტების ჩამდენი პირი, დაზღვევა ან სახელმწიფო სამედიცინო და სოციალური უზრუნველყოფა. აღნიშნული პირობა ხელს არ უშლის მხარეებს, მოითხოვონ დამნაშავისგან მიღებული კომპენსაციის რეგრესის წესით დაბრუნება, თუ ეს რისკის ქვეშ არ აყენებს მსხვერპლის უსაფრთხოებას.

[45] სსსკ-ის მიმოხილვა, პარ. 524.

და მიუკერძოებლობას“. ამის მიუხედავად, არ არის კონკრეტული დებულებები, რომლებიც გაითვალისწინებდა 223(5) და 226(3) მუხლების განხორციელებას.

როგორც სსსკ-ის მიმოხილვაში აღინიშნა, 28(2) მუხლი, რომელიც ეხება ნაფიცი მსაჯულების სოციალურ გარანტიებს, აჩენს თვითდასაქმებული პირების დისკრიმინაციის საკითხს. იმავდროულად, შეიძლება წამოიჭრას დისკრიმინაციის საკითხები ქალების მიერ სახლში საოჯახო საქმიანობასა და მოვლასთან დაკავშირებით, რომლებსაც ასევე მოუწევთ ჯიბიდან ხარჯების გაღება, ზრუნვის გაგრძელებისათვის, თუ ისინი ნაფიც მსაჯულად მიიღებენ მონაწილეობას. საჭიროა სსსკ-ის 28-ე მუხლში დაზუსტდეს ტერმინი „ჯანმრთელობის მდგომარეობა“ და გაკეთდეს მითითება ორსულობასა და მშობიარობაზე.

ამასთანავე, სსსკ-ის 261(4), (6) მუხლები, სადაც დადგენილია ნაფიც მსაჯულთა მიერ თათბირის საათები, არ ითვალისწინებს ოჯახში და ზრუნვის პასუხისმგებლობებს როგორც ქალი, ისე მამაკაცი ნაფიცი მსაჯულებისათვის. საქართველოს პატრიარქალური კულტურის გათვალისწინებით, სადაც საოჯახო საქმიანობისა და მოვლის დიდ ნაწილს ქალები ასრულებენ, ანაზღაურების გარეშე, გათვალისწინებული საათები შესაძლოა უარყოფითად აისახოს: 1) ქალების შესაძლებლობაზე, მიიღონ მონაწილეობა ნაფიცი მსაჯულის სახით, რაც დისკრიმინაციაა; 2) ბავშვებისა და ხანდაზმულების საჭიროებებზე, რომელთა ოჯახის წევრები ნაფიცი მსაჯულის მოვალეობას ასრულებენ.

ნაფიცი მსაჯულების შერჩევის და მათი მუშაობის პროცესში ცვლილებებში გათვალისწინებული უნდა იყოს ის დისპროპორციული ზეგავლენა, რომელსაც მოქმედი პროცესი ახდენს ქალ ნაფიც მსაჯულებზე და ქალებისათვის ნაფიც მსაჯულად მონაწილეობის შესაძლებლობაზე.